



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 109

2015 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისი

„სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებელი კოკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 31 მარტის N45 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:


1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებელი კოკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის 2015 წლის 31 მარტის N45 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„1. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებული ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებელი კოკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:  
ა) თინათინ ბოჭორიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);  
ბ) ნინო წერეთელი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველოს უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);  
გ) ეკატერინე ბუთლიაშვილი - ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;  
დ) ლელა ღუდუშაური - ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;  
ე) მანანა დათუაშვილი - ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

შემსრულებელი:  
იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის  
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი



შეთანხმებულია:

იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის  
დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბუთლიაშვილი



გენერალური დირექტორის მოადგილე გიორგი ჟღენტი



ვ) ნინო მეგრელი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი;“

2. დაევალოს ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება
3. ბრძანება ძალაშია მხარეებისათვის მაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

მარინე ჩიტაშვილი

